„ქართული სამართლის მიმოხილვა“

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაიწყო ქვეყნის სამართლებრივი განვითარების ახალი ეპოქა. „საქართველოსა და ევროგაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ძალაში შესვლამ და მუდმივი დიალოგის დაწყებამ ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა თანამშრომლობის საბჭო და კომიტეტები, შესაძლებელი გახადა გარდამავალ პერიოდში საქართველოს პრიორიტეტების დაზუსტება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მხარეები ეკონომიკური კავშირების განმტკიცების და შემდგომი თანამშრომლობის გამყარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას მიიჩნევდნენ.

1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო №828-Iს დადგენილება, რომლის თანახმად „1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს“. ამ დადგენილების შესრულება შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს სამართლებრივი სისტემის ევროპულთან დაახლოებისაკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელი გახდა კანონპროექტებისა და მოქმედი კანონმდებლობის დეტალური შედარებითი ანალიზი, მათი ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

კანონმდებლობის ჰარმონიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, ევროპულმა კავშირმა იკისრა ვალდებულება, საქართველოსათვის გაეწია ტექნიკური დახმარება შეთანხმებით განსაზღვრულ სფეროებში. შესაბამისად, „ჯეპლაკი“ (GEPLAC), როგორც Tacis-ის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოში სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. მისი საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას 1998-2008 წლებში წარმოადგენდა „ქართული სამართლის მიმოხილვის“ გამოცემა. ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში სხვადასხვა სამართლებირივი ტენდენციის ანალიზის თვალსაზრისით.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, მისი მიზნიდან გამომდინარე, კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას. ამასთან, 2014 წლიდან ჟურნალი მკითხველის წინაშე წარდგება „ნიუ ვიჟენ“ - უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემის სახით.

NEW VISION - UNIVERSITY